

9. 26

Грузинская литература, писатели и ихъ книги
XIII, XIV, XV и XVI столѣтій.

ქართული მწერლობა

მეცნიერება საუკუნიდან მეთუქსმება საუკუნემდე.

31065

გ. ქოჭიაძე.



თბილის
როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1885



ԹԱՐՅԱԿԱՆ

ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԱՇԽԱՏԱ

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 апреля, 1885 года.

~~აუცილებელი იყ მშვიდობის აუცილებელი გადასახლება, რომელიც აუცილებელი იყ მულტიკულ მუნიციპალიტეტის მიერ გადასახლება. აუცილებელი იყ მულტიკულ მუნიციპალიტეტის მიერ გადასახლება, რომელიც აუცილებელი იყ მულტიკულ მუნიციპალიტეტის მიერ გადასახლება. აუცილებელი იყ მულტიკულ მუნიციპალიტეტის მიერ გადასახლება, რომელიც აუცილებელი იყ მულტიკულ მუნიციპალიტეტის მიერ გადასახლება.~~

ქართული მწერლობა XIII — XVI საუკ.-დე.

არსენ კათალიკოზი, გვარად ბულმაისისძე. საქართველოს ისტორიულის წერილების ჩვენებით არსენ კათალიკოზი სცხოვრებდა მეცამეტე საუკუნეში. ამ არსენ კათალიკოზს ანტონ კათალიკოზიც იხსენიებს თავის აწყობილ - სიტყვაობათ-ში და განმარტავს: ოომ არსენ კათალიკოზი ფილოსოფიასი იყოვნო, მჰეპრმეტეპელი, სამღვთო პირიერსი, ლამაზი მუსიკი, მშვენიერი მეშაირე და სხვანიო. ამის შესახებ იოსელიანი სწერს: «ეს სცხოვრებდა, ვითარდა ჭიდონებენ, მეცამეტე საუკუნესა, თუმცა კათალიკოზთ საძრი არ არის მოხსენებული». ამ არსენის წელი იოსელიანს საეჭვოდ მიაჩნია და იმიტომ მეცამეტე საუკუნეში კათალიკოზთ საძრაც არ შეუტანია არსენის სახელი. ბაქრაძეს კი ეჭვი არა აქვს, ოომ არსენ ბულმაისისძე მეცამეტე საუკუნეში სცხოვრებდათ. ამ კათალიკოზს ეკუთვნის შემდეგი წიგნები:

- 1) ძეგლის წერა. სარწმუნოებისა, ოომელიც აღუწერიათ კოსტანტინოპოლის კრებაზე. წმინდათა სატოა თავაკის-საცემლად. ეს წიგნი წარიკითხებოდა სოფია წმიდასა და უოველთა შინა წმიდათა ეკლესიათა, პირველსა ამას გვირიაკესა წმიდათა მარკვათასან, წმიდასა ლიტურგიასა ზედა. სამღვდელოსათა შესასელთა მოსილთა. 2) არს წიგნი დაწერინვალე კვირა, კრისად. 3) ეკრებაზე ამაში განმარტულია: თუ სად კინ არ ხელმ-

წითელი შეიუარნენ, კათალიკოზნი და პატრიარქი, ომელ
ქალაქში, ოოდის, რამდენი იუვნენ, რაოდენი წმიდა მამანი შეი-
უარნენ, რა განონი დასდეს, ანუ კიდენ რაოდენი მწვალებელი
არიან შეეუანაზე. 4, იამიკი ღვთის მშობელზე. ეს დაბეჭდი-
ლა ეკსტრათი მცხეთელის საგალობელში. 5, არს პროლოგი, იამ-
ბიკოდ, ოთხ-თვეული, პატრიკ წმიდათა: თებერვლის, აპრი-
ლის და მაისისა.

ევლემონ კათალიკოზი. ევლემონ კათალიკოზიც სცხოვ-
ნებდა ამავე საუკუნეში. ამ ევლემონ კათოლიკოზის ცნობები
ერთობ მკრთალად არის ნაჩვენები საქართველოს ისტორიაში
და ამ კათალიკოზის დისწული რომ არ მოიხსენებდეს, იქმნება
მაშინ ამის ცხოვრების დროც არ გვცოდნოდა. ამას ეკუთვ-
ნის შემდეგი წიგნები: 1) იამბიკონი იმ პირთა შესახებ, ოო-
მელნიც ჩინგის სანის ომში დაიხოცნენ. ინახება ტარასის წიგ-
ნებში. 2) იოვანე დამსკელის წიგნი. 3) წმ. ათთა ბერძენთა
წამებულთა, თარგმანი ბერძნულიდამ. 4) განგებულებით ღვთის
მეტყველება. თარგმანი და 5) ცხოვრება დედისა თეოდორისი.

პეტრე ქართველი. პეტრე ქართველი სცხოვრობდა
1190—1251 წლამდის. დიმიტრი მეფის დროს. პეტრე ქარ-
თველი აღიზარდა ათონის მთაზედ, იქ შეისწავლა ბერძნული
და სხვა ენები. დიმიტრი მეფის თხოვნით იგი მოვიდა საქარ-
თველოში და გაენათის მახლობლად სასწავლებელიც დაარსა. ამას დაუწერია შემდეგი წიგნები: 1) სიტყვა განხორციელები-
თი ძისა ღვთისა 2) მოწამეთა გვირგვინი, გასამხნევებელად ქარ-
თველთა დეკნულთა აგარიანთაგან. 3) გიორგი ნაზიანელის სიტ-
ყვა, შეიცავს სულ 186 ტაქს. 4) საგალობელი. 5) არს
წიგნი ექალწულებისათვისა ბერძნულიდამ ნათარგმნი. და 6) დას-
დგენელნი, საგალობელი წმინდათა.

პეტრე ქართველის ნაწერების შესახებ, ოორუელც სწერს ანტონ
კათალიკოსი „წერილ სიტყვაობა“-ში, მას უღვეველიერ უნდა ენასოს.
პეტრე ქართველი გარდაიცვალა გაენათის მონასტერში 1251 წ.
ნიკოლოზ კათალიკოზი III. ნიკოლოზ კათალიკოზი

სცხოვრებდა 1260 წლებში. მან კათალიკოზობის ხარის-
უდომონ კათალიკოზის შემდეგ მიიღო. ამას დაუწერია შემ-
დეგი წიგნები: 1) ბეთანიის მონასტრის ამბავი. 2) ლიპარიტ
თობელიანის ცხოვრება. პირველი მამათა ცხოვრებაშია შეტანი-
ლი და აეთვე ქართლის ცხოვრებაშია. და 3) სია ქართველი
მღვდელმთავრებისა. ეს მოხსენებულია აღხიმსნდრიტ გამაილე-
ლის ქართულ ძევლი წიგნების კატალოგში.

აბრამ I, კათალიკოზი. აბრამ I, კათალიკოზი სცხოვ-
რებდა მეცნატე საუკუნეში. ამის ცხოვრების შესახებ ვრცლად
არის განმარტული ქართველთ მამათა ცხოვრებაში. ოთვორც
სხანს სხვა-და-სხვა საეკლესიო წიგნებიდამ ეს ერთობ მცირე სანს
უოფილა კათალიკოზათ. ამას დაუწერია შემდეგი წიგნები: 1)
წიგნი ფლორენციის კრებისა. 2) სახის ჩვენება, თუ წიგნად.
3, წიგნი ინიკოლოზ გისართდენ. და 4) იოვანე ლეროპირის
სიტყვა. უგელა ამ წიგნებმა ჩვენს მდისაც მთაღწიეს.

პიმენ სალოსი. პიმენ სალოსი სცხოვრებდა 1216—1294
წლებში, ეს აღზრდილა დავით გარესჯის უდაბნოში. შემდეგ დრო-
ებში იგი სცხოვრებდა დაღისტნისკენ, სადაც დიდ-ძალი ლეპნი
გაუქრისტიანებია. გაუქრისტიანებია აგრეთვე თუში და მთი-
ული. ამის შესახებ ანტონ კათალიკოზი ასე სწერს: პი-
მენ სალოსი, ქრისტესთვის განკრთმილი, გონებით ბრძე-
ნი, ზეცით მომდები სიბრძნისა, მეფეთა დიდი, მამსილებელი
ნათან ბრწყინვალე კაცი, ნეტარ დიდი სახელი, ზემო წერილის
ვასილისთანა მზრახველი“. ესე იყო მამსილებელი მეფის დიმი-
ტრისა და თანაშემწე კასილი ათონელისა. პიმენ სალოს დაუ-
ტოვებდა შემდეგი წიგნები: 1) სიტყვანი და ქადაგებანი თავისი,
— ერთ წიგნად. ეს წიგნი გასტანგ მეფეს ჭრისა. 2) სარწ-
მუნოების ნაყოფი. და 3) გრიგორი ლვის მეტყველის წიგნი.

ვასილი ათონელი. ვასილი ათონელი სცხოვრებდა მეცნ-
ატე საუკუნეში, ეს უოფილა ბიძა საქართველოს ეპიდომონ
კათალიკოზისა. ამ ვასილ ათონელს ანტონ კათალიკოზი
ბრძნად მოისხენებს. ვასილი ათონელის ქადაგებანი მთელ სა-

ქართველობი უოფილა განთქმული. მას ხშირად უმხილებია და შეურცხებია თავის თანამედროვე სატონიშვილი ნარინ დავითი, რომელიც ეპლესიათა ძელთა შეწირულს ართმევდა და თვით იტოვებდა. კვალად უმხილებია მეზე დიმიტრი, თავ-დადებულად წოდებული, რომელსაც ესწავლა ბილწება (მამათ-მავლობა) თათართავნი, საბორეთ ქრისტიანეთა, კვალად უჯერონი საქმენი მისნი, რაისაგამო ამსილებდა მეზეს იუგნენ შემდეგი: სამი ცოლის უოლა, და მითხვება ქალისა თვისისა რუსუდანისა შვილის-შვილის სულასისა, რომელიც მტერი უოფილა ქრისტიანეთა. მეფის მემიერელმან მტერმანვე უწინასწარმეტუგელა მეზეს სიკვდილი, რომლითაც იქმნა აღსრულება მეფისა.

ამ საგანს სწორებ ასევე ასლწერს არსენ ბერი და პ. იო-სელიანი. ამ ვასილი ათონელს დაუწერა: 1) იურიან თვალ-საჩინო მოთხოვობა იმის შესასება, თუ ნარინ დავით როგორ სცარცვავდა ეპლესიებსა და აგრეთვე მეზე დიმიტრი თავ-დადებულმა როგორ შემოიტანა მამათ-მავლობა, სამი ცოლის შე-რთვა, ბოზ-კუროვობა და საქართველოს ერის ზნეობით დაცემა. ამ მოთხოვობაში განმარტული უოფილა, რომ დიმიტრი მეზე ამ სა-ქრისტიანო გამო საქართველოს ეპლესიამ არ იცნა დის მოწამე-თო. დიმიტრი მეზეს მცირეც არის რომ რაიმე ღირსება ქონი-ულ, მაშინ საქართველოს ეპლესია უსიკვდილოდ იდლესასწაუ-ლებდა მის სესენებასთ. ამ ვასილი ათონელის სრულმა აღწე-რამ კი კერ მოადწია ჩვენამდის და თითო ლორდა ადგილები განეულებია და შეტანილია ძეელ ხელთაწერ წიგნებში. 2) არს წიგნი დიდი და სრული, რომლის შინაარსი შეიცავს მაჭ-მადიანთ სარწმუნოების შესწავლას, განსაკუთრებით სუნიტების და შეიხების გარჩევაზე, თუ რა განსხვავება არსებობს მათში. 3) არს ასბორნის კარია, თარგმანი ელინურიდამ. და 4) წიგნი “ნიკის გრებისა.”

ნიკოლოზ არჩიმანდრიტი. ნიკოლოზ არჩიმანდრიტი სცარცუებდა 1219—1280 წლებში. მცირე ხელით უცხოვნია შიომლვიმის მონასტერში და შემდეგ ქვათახვევის მონასტერში

ვადუებანიათ. ამას სცოდნია სპარსული და არაული ენები, ბეკრ
ჯერ სპარსეთშიაც ყოველია. გარდაცვალებულა აჩხიმანდრიტობაში ქვა-
თახევის მონასტერში. ამას უთარგმნია სპარსულიდგან შემდეგი წიგნე-
ბი: 1) ზამახშანის წიგნი «სიტყვის კონა». 2) არს იამბიკო შე-
სხმით დავით აღმაშენებელზე და 3) არს ფარსკვლავთ-მრიცხველო-
ბაზე» სპარსულ ენაზე ეს წიგნ აბულ-ქაის-მაქმედს აუწერია ორ წიგ-
ნიდ: ერთში ცის-ქმნულებათ ამბავია აღწერილი და მეორეში
დედამიწისა.

რა დღეთ ამავე ათასობი ცოდნის სიტყვის მონასტერში მოგვიანებით და ეს დღეს დატყვევით მოგვიანებით არ არის შემოგვიანებული და მეორეში არ არის შემოგვიანებული. ამავე ათასობი ცოდნის მონასტერში მაგისტრი ებე-
რის მიზნი, თქმული საჭართველოს მეფის დიმიტრისაგან, მუ-
ხლი ათორმეტინი. წმინდისა შიო მღვიმისა. გადაწერილია ცარასი
აჩხიმანდრიტისაგან. ინახება ქვათახევის მონასტერში.

გოსტამიანი ზღაპრული მოთხოვობაა. გოსტამი სპარსეთის
გმირია. ამის შინაარსი ერთობ წაგრძვს „ბარამიანის“. ნათარგმნია
მეცამეტე საუკუნეში. მთარგმნელი არა სჩანს. დიდი წიგნი არ არის,
არც ისე შესანიშნავი მოთხოვობა.

ბაბა-ამირიანი. ბაბა ამირიანის შინაარსი ზღაპრულია. გადმო-
თარგმნილია სპარსულიდამათ. მოწმობენ რომ შემდეგ დაკარ-
გა ეს მოთხოვობა და შემდეგ მეორედ სთარგმნეს. ერთი პეტე-
კატალოგი მოწმობს, რომ „ბაბა-ამირიანი“ პირკველად რუსულან
დედოფლის დროს ვიზაც გურამიშვილმა დასწერა. თვითონ წიგნი
მე არ მინახავს.

სომეხთ საეკლესიო ისტორია. მოხსენებული აქვთ ანტონ
ქათაშვილიზებ.

დათნისიანი ზღაპრული მოთხოვობაა. თარგმნილია სპარსულიდამ.
ამის ხელთ-ნაწერები ცოტაა. პატარა მოთხოვობა.

სხვა-და-სხვა ამბავი სანდალოზების მოძირებისა. ამაში
აღწერილია, თუ როგორ უნდა გვაკეთონ ქარვა, დანამასტევი, სან-
დალოზი. მარმარილოს გაეკეთება და მრავალიც სხვანი. ვისი
ნათარგმნია — არა სჩანს.

აღსავლის კარი. აღსავლის კარი განიყოფება ორ ნაწილად-
შირველი ნაწილი შეიცავს მართალთა შესხმას და მეორე ნაწილი
ცოდვილთა. თარგმნულია ბერძნულიდამ. შინაარსი მეტის-მეტი
ზღაპრულ-ბნელია. მთარგმნულის სახელი არა სჩანს.

ყამარდინი. ამ უკანასკნელს დოომდინ არავინ იცოდა, რომ
ქართულს ენაზედ არსებოდა წიგნი „უამარდიანი“. ამ წიგნის შესა-
ხებ არც ძველს და არც ახალს წიგნებში სიტყვაც არ არის ნათქვამი.
სსენებული წიგნი შეიცავს 133 გვერდს. საწერი ქადალდის მეოთ-
ხედზე. დაწერილია წვრილის ხელით; მისი შინაარსი შეიცავს უამარ-
დელთა მეფის ქალის ამბავს, რომელსაც ერთი ქალის მეტი სხვა შვილი-
არ წყოლია. ჩვენის აზრით „უამარდიანი“ ღრიგინალური უნდა იყოს.
ამ წიგნში სმარებულია, ბევრი ისეთი სასელები, რომელიც საბუთს
გვაძლევენ მისას, „ჩახრუხსაული“ და „მზევ შინ შემოდიო“. მაგ-

„მთვარე მკეუნად მოეფინა, მზევ შინ შემოდიო,
არვის მზერა მოგბეწუინა, მზევ შინ შემოდიო,
დასეპდებულთ მოგბელხინა, მზევ შინ შემოდიო,
მეფემ მწევემსი აღგვიდგინა, მზევ შინ შემოდიო.“

ეს ფრინა ანუ სახელწოდება „მზევ შინ შემოდიო“, მეთვარემე-
ტე საუგუნეში გბეგონა შემოტანილი და სმარებული, რადგანაც მე-
თვარემეტე საუგუნეში გავრცელდა ამ ფრინას სმარება და ამავე სა-
უგუნეში აჭვს ნახმარი ჭაბუა ღრბელიანს და მის შემდეგ ამ საუ-
გუნეში გრ. ღრბელიანს. „უამარდიანიდამ“-ი აშვარად დამტკიცდა,
რომ „მზევ! შინ შემოდი“ ძველადგანვე უოფილა საქართველოში
სმარებული. „უამარდიანი“ მშენიერის ენით არის დაწერილი. გან-
საგუთოებით ლექსები. ამის ნიმუშად მოვიყვანთ შემდეგ ადგილს:

ამას ქარვასლასა შეა აღგილი იუო, ჰაუზი ფირუზით აღმო-
შენებული ოთხ-კუთხედ და მის ჰაუზისა გუთხეთა ზედან თითო
ხალიბი. აღმოცენებულიყო და მათ ხალიბთა ერთმანეთის ტანადო-
ბის სიყვარულით სიმორე ვეღარ მოეთმინათ და ოთხთავე უძლი-
ულს გარდმოეგდოთ და კეკლუცისა ქალისა თმათაებრ თვისითა შტო-
თა ერთმანეთს აფენდენ და მათ ოთხ გარდახვეულთა საფამთათვის

იადონს შორით მზერა მოუთმინა და მათ შეა სახლი აღეშენებინა. ზამთან გათვალისწინებულ მსმენელთათვის საამოდ ჭიბჭიკობდა.

შემდეგ მოწყვავთ ლექსი, ოომელიც სატავს მის სიმშენიერებს: „ჩინელთა მსატვართ კალამსა, არ ძაღლებს ესრულ შენება, ათინა, ბრძენნი იტუოდნენ ან სამს კალამო, შენება.

შენობის ქება მსუროდა, წერა სულ წვლილად მენება, დავსწერ საფერთა, ამ ჟაზრთა, თუ სიბრძნე მომეთენება.“

ჩემის ჸაზრით მოთხხოვა იგავ-სიტუკაობით უნდა იყოს დაწერილი — არ უნდა იყოს სათარგმნი, ოფიციალურ ზოგიერთინი.

ამ წიგნის სელნაწერი 1881 წლამდი თბილისში ინახებოდა და შემდეგ პეტერბურგში წაიღეს. „ესმარდიანზე“ დამწერის გინა მთარგმნელის სახელი არ იყო მიწერილი და არც სადმე ძველ წიგნებში გვინახავს. ერთ ალაგს აი კიდევ როგორ აღწერენ:

„რა მათისა ნახვითა და სინჯვითა გული დაუწენარდისთ, მოინებიან საზართა გამოსვლა და მას ბაზარსა შინა მდინარე დიოდა აქეთ და იქით. უოველთა დუქანთა წინა თათო ჸაუზი აღუშენებიათ და ჸაუზის პირთა ნარგიზთა თავი მოუკრათ და გაცს კარდის თვისის მხარული სიცილი გაემრავლებინათ და გაკუშტებულთა ზედან ბულბული შტრენით დამდერდნენ.“

„გაგუშტდა, დიდად გვისარის, ოომ გხედავთ ჩემზედ მწერომელსა, მოგივა უამი სიცილთა, რას გვიზამს საწყლად მდგომელსა.“ და სხვანი.

ქამილიანი. მე მაქვნდა ერთი სელ-ნაწერი წიგნი, ოომელსაც ზედ ეწერა, ოომ ეს საამო წიგნი რუსულან დედოფლალის დროს დაიწერათ. სათაური კი არ ეტუობოდა კარგად. პირველი სტრიქონი კი ასე იწყობოდა. „ქამილ ალ-ქამილიანი“, ე. ი. ბრძენთა ბრძენი. ეს სახელი სპარსთა მეფის სასელი უოფილა. ამ მეფეს ჟეოლია მეუღლე, გილანელი ქალი, ოომლისაგანაც მას მისცემია ვაჟისშვილი. რადგანაც სელმწიფე ერთობ შატრივის მცემელი იყო თავის ცოლისა, ამიტომ იმან თავის ვაჟს „დარგილან“ დაარქვა. — ემაწვილი გაზარდა, და რა თოთხმეტი წლისა გახდა: მან შეისწავლა უკედა მეცნიერების შემთხვევაში და მას მისცემია ვაჟისშვილი.

ოქა, თხუთმეტი წლისა ცხენით სეირნობდა. ერთხელ მას მოუხდა გავლა თავის სატასტო ქალაქის სასაფლაოს მასლობლად. სასაფლა-ოზედ ნახა ერთი კაცი, ომელიც ნაბადში გახვეული იყო და ხმა-მაღლა ჭუკიროდა:

„ღმერთო! მომკალ და მეც მომასვენე ისე, ორგორც ამ სა-საფლავზე მწოდი მიცვალებული წვანანო“. ამ უკირილის დროს დარგილანი თავის ცხენით ზედ შეეტეთა იმ კაცსა. ამას შემდეგ გაგვირვებით გამოჩეითხა მიზეზი, თუ რად უკირიო. მუკირალი სა-უკარლისაგან დამწვარი ურთილა. საუკარელი მომკვდარა და იმ სასაფ-ლაოზედ ურთილა დასაფლავებული. ომლის სიუკარულის ძალას იქ, სასაფლაოზე მიეუვანა ის კაცი. პატარა წიგნია.

ამირ-მუსარიანი. ამირ მუსარიანის შინაარსი შეიცვას თეჭელე-ბის ცხოვრების. „ამირ მუსარიანი“ კი არა და „მუსა-კის“ სომხუ-რიდამ ნათარგმნები „შვიდ-ვეზირიანშიაც“ არის მოსსენებული. ამ მისი შინაარსი: — თექის სამეფოს ერთ სამთავროში ივარგება ერთი მშენერი ქალი. ეს ქალი სპარსეთში მიწუავთ და იქ ერთი ხანის სახლში ინახავენ საიდუმლოდ. ამ ამბავს თეჭელები შეიტყუდენ თუ არა, მაშინვე სპარსელებს აუტესენ ომს. თეჭელ მეომარ ფალავნებში ურევია ერთი შესანიშნავი ფალავნი, ომელისაც ამირ მუსას უსმოსენ. თექის-ფალავნები სპარსეთის ხანის სახლს დაეცემიან, სადაც ქალთა მზეა დატევებებული, მაგრამ წინად შეიტყობს ამ ამბავს სპარსეთის ხანი, ომმ ქალთა-მზის გულისთვის უნდა ამიჯლონო. ამიტომ ის ქალი ხეზედ ჩამოუკიდნია. ქალი მომკვდარა. ფალავნები დასცემიან და არ ეს სურათი უნახსვთ, მაშინ ის ხანიც იქნება იმ ქალის მახლო-ბლებ ჩამოუკიდნიათ ხეზე და დაუსრჩხიათ. აქეებ ერთს ფალავნას, ქალის საცოდაობისაგან გული წასვლია და მომკვდარა. ერთს იქ მეომარ ფალავნის, ომელისაც უკვდავების წყარო ჭირნია — წაუსვია მკვდარი ქალისათვის და თავიანთ მეომარ ფალავნისათვისაც. ორივე მობრუ-ნებულან. ქალი შინ წამოუკანიათ და ადმოჩენილა, ომმ სახლში მეომ ქალთა-მზის გამდელმ უმტუუნია და გაუცია.

ამ ხელთ-ნაწერის მსოდლოდ ერთი კგზ. კნახე მთელს საქართ-

ვკლილში. ეს ხელ-ნაწერი განჯაშია გადაწერილი 1732 წ. ამის დედა-
ნი სპარსეთიდამ მოუტანია ვიღაც მღვდელს.

ბრძენთა წალკოტი. „ბრძენთა წალკოტის“ შინააცხი მე არ
ვიცი თუ რას შეიცავს, ამ წიგნს მოიხსენიებს იღვანე ბატონიშვილი
თავის ერთს ხელთ ნაწერ საქართველოს საისტორიო წიგნში.

რუსულანიანი. „რუსულანიანი“ ვეება წიგნია. შეიცავს 600
გვერდზე მეტს. ამის შესახებ დ. ჩუბინოვი მოწმობს, რომ „რუსუ-
ლანიანი“ მეცამეტე საუკუნეზედ გვიან აღარ უნდა იყოს დაწერილი.
ჩვენ ეჭვ გარეშე ვაღვიარებთ, რომ რუსულანიანი მეცამეტე საუკუნის
ბოლოს უნდა იყოს დაწერილი. ზოგიერთნი მეოვრამეტე საუკუნის მწე-
რალნი მოგვითხრობინ, რომ რუსულანიანი სპარსულიდამ არის ნა-
თარგმნი. ჩვენ კი ვთქვით, რომ რუსულანიანი ღრიგინალური
ნაწარმოები უნდა იყოს. ამას ცხადად ამტკიცებენ მოთხოვთაში და-
სასელებული სასელნი, როგორათაც თემთა, ესევე მომქმედ პირთა
და სხვათაც მოვალთა. მაგალითად: ერთ ალაგს მოხსენებულია:
„თუ გამოიწვევ, თქვენი ხელმწიფის შვილი თავად ეცდება ტკბილის
ქართულით დააუქსოს. მეორე ალაგას: „ამას დელამთ მეფის ასულია
თავად დიდი ბოლიში და ტკბილი ქართული უბრძანა“. ასე და ამ
გვარდ რამდენიმე ალაგს არის ნახმარი სიტუა „ქართული“. შეიძ-
ლება სთქვას მეითხველმა, რომ მთარგმნელს თათრულის მაგირ
ქართული უხმარით, მაგრამ არა, ჩვენ წინააღმდეგს აზრს მიუგებთ
და დაუმტკიცებთ, რომ ეს რომანი ღრიგინალური რომანი უნდა
იყოს, სადაც დამწერი რუსულან მეფის დროს უნდა აღწერდეს. მა-
შინდელ სალსთა ჩვეულებათა, სამეფო პირთა და სხვათა ამ გვართა.
ამის სინამდვილეს ცხადად ამტკიცებს ისიც, რომ „რუსულანიანში“
რამდენიმე ალაგას მოხსენებულია ფრანგნი, რომელიც მოკავშირედ
არიან დილანელებთან და დილანთ მეფის ცოლს ქსუნს გაღეც
რომ თავის ქალი საფრანგეთის მეფის შვილს მისცეს. ეს ადგილები
ცხადად მოწმობენ რუსულან დედოფლის და საფრანგეთის პაპის
გავშირს. როდესაც რუსულანი შემწერას სთხოვდა. შეიძლება რომ
მეითხველმა სთქვას, — განა დამწერს არ შეეძლებოდა, რომ მაქმა-
დიანთ მეფის ქალიც ქულიურ სახეში, რომლის საჭმროთ სა-

ფრანგეთის შვილი წუთლიუთოთ. ეს ასეც შეიძლებოდა, მაგრამ არ გვგონია, რომ სარწმუნოებით ფანატიკს მაქმადიანს თავის ქალის გათხოვება ქრისტიან მეტეზე ისე აღვილად გაებედნა.

„ოუსუდანიანის“ ეგზემპლარები საქართველოში ერთობ ცოტაა. მთელ საქართველოში მსოდნებ ერთი ხელნაწერი გნეხე. ამ წიგნიდამ ორი ადგილი ჩუბინოვმაც დაბეჭდა თავის ქართულ ქრისტომატიების პირველ და მეორე წიგნებში. სრული ხელნაწერი შეტრეუმიკაშვილის ხელშია დაცული.

ბარამიანი. მოთხოვთა „ბარამიანი“ სამჯერ სთარგმნეს ქართულად. პირველად მეცამეტე საუკუნეში გადმოსთარგმნეს, მეორედ მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს, პროზათ, მესამედ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს, ლექსად, ვასტანგ მეფის თანამეორება და თანამედროვე ონანა კასის მდივანმა. პირველად ნათარგმნის შესახებ თვით მეჩვიდმეტე საუკუნიდანც სჩანს. მეორედ ნათარგმნი, პროზათ აწყვე დაბეჭდილია 1879 წელს და მესამედ ნათარგმნი, ლექსად, დაცულია წერა-კითხვის სამართველოს წიგნთ საცავში.

თ. გრ ღრუელიანს აქვნდა ერთი ეგზემპლარი ამ „ბარამიანისა“ და მას დიდად მოსწონდა... მეცამეტე საუკუნეში ნათარგმნი „ბარამიანის“ შესახებ კი არა ვიცით რა. თუმცა ზოგიერთნიც განმარტვენ, რომ ის თარგიანიც მოიშოვებათ. შინაარსი არშიუულია და დაწერილია იმ ზღაპრულ კილოთი, როგორც დაწერილებია სხვა ამ გვარი მოთხოვთები. ამის შინაარსის მოყვანა აქ საჭიროდ არ დავინახეთ, რადგანაც შემოვლებულია „ბარამიანი“ უკვე დაბეჭდილია ცალკე წიგნიდ.

სირინოზიანი. „სირინოზიანი გადმოუთარგმნათ საბაზულიდამ პირველად პროზათ და მეორედ ლექსათ. დღეს ერთიც მოიშოვება და მეორეც. პროზაში და გალექსილში დიდი ცელილებებია. პროზა უფრო კარგათ არის ნათარგმნი, ვიდრე ლექსათ. შინაარსი არშიუულია! მოთხოვთების ფრანგულია.

ხელთა. ჩვენ ღრომდე მოაღწია რამდენიმე „ხელთა“-მ, ერთი ეგუთვნის მეცამეტე საუკუნეს. ეს ხელთა არსად არის დაბეჭდილი. ბროსე შესცდა, რომ თავის გამოვლევაში, სადაც ამ საკანს შეეხო, იქ ამ მეცამეტე საუკუნის „ხელთაზე“ კი არა დასწერა-რა.

სამკურნალო. „სამკურნალო“ ქართულ ენაზე ძალიან ბევრია როგორც ორიგინალური ისე სათარგმნი. მეთორმეტე საუკუნეში ჯანალზ ექიმის „სამკურნალო“ და მეცამეტე საუკუნეში მეორე ვიღაც სპარსულის ექიმისა. უკანასკნელი გადმოთარგმნილია მეფის რუსუდანის ბრძანებით.

უთრუთიანი. „უთრუთიანი“ სპარსულ ენაზედ არის დაწერილი, ეს წიგნი ძველს დროში ყოფილა გვარცელებული საქართველოში. ამ წიგნს მოიხსენებს შავთელიც თავის ბრემაში და საბა ღრბელიანიც ქართულს ლექსიკონში. „უთრუთიანი“ გადმოუთარგმნიათ მეცამეტე საუკუნის დასაწყისში. ამას ცხადად მოწმობენ იმ დროის ზოგიერთი ძველი წიგნები. შინაარსი ზღაპრულია. პირველად ეს წიგნი პროზათ გადმოუთარგმნიათ და შემდეგ სხვებს გადაეკეთებიათ. ჩვენ არც ერთი და არც მეორე თვალითაც არ გვიჩახვს. ამ წიგნის ერთი ეგზ. იმერეთში ვიღაც ჭავარიძის სახლში ინახებათ.

ვარსკვლავთ-მრიცხველობა. „ვარსკვლავთ-მრიცხველობის“ კრცელი ტომის თარგმნა შირველად მეცამეტე საუკუნეში დაიწყესთ, მაგრამ კერ დაუთავებიათ, შემდეგ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარს დაუწევიათ, მაგრამ კერც მაშინ დაუსრულებიათ და მეთვარამეტე საუკუნის დამღებს კი კახტანგ მეფეს დაუსრულებია. ამაზე თვით კახტანგ მეფე სწერს.

მარგალიტიანი. „მარგალიტიანი“ სპარსულიდამ გადმოუთარგმნია ვიღაც ღრბელიშვილს.. თარგმნას ცხადად მოწმობს თვით თარგმანი. შინაარსი ზღაპრულია, ქარგის ქართულის ენით კი არის დაწერილია. წიგნი პატარაა. ამავე სახელ-წოდებით, „მარგალიტი“ სხვა წიგნიც არის ბერძნულიდამ ნათარგმნი, რომელის ხელნაწერებმა ჩვენამდისაც მოაღწიეს, ერთი წიგნი ამ მარგალიტისა მოხსენებულია მეთერმეტე საუკუნის სიგელში. ეს სიგელი დაბეჭდილია ჩუბინოვის ქრისტომატიაში. ამაზედ სხვა ფურცელებზე ნახავთ სადაც სხვა წიგნებთა რიგი მოითხოვს.

მცხეთის აღწერა. მცხეთის აღწერა მეორედ მეცამეტე საუკუნეში დაუწერიათ და ვინ დასწერა ამისი ჩვენ არავერდ ვიცით. ზოგ-

ნი იოვანე კათალიკოზე აწერენ, მაგრამ, ჩვენ მარც პეტ ვბედავთ
ამას. ეს აღწერა მამათა-ცხოვრებაში შეუტენიათ.

სარიდანიანი „,სარიდანიანი“ ძველი პოემა. შირველად სპარ-
სულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი და გავრცელებულიო მთელს აღ-
მოსავლეთ ხალხებში; „სარიდანიანის“ გმირთა სახელებს ძველს
ქართულს მწერლობაშიც ასახელებენ და შავთელიც მოიხსენებს.
ზოგიერთისგან გამიგია, ორმ „,სარიდონიანი“ მეცამეტე საუკუნეში
არის ნათარგმნიო, ზოგნი კი ისე განმარტვენ, ორმ მეცამეტე საუ-
კუნეში კი არა მეთვრამეტე საუკუნოები დაუწერია გილაც კაგბა-
ბელს, ქართველს კაჭარსო, ორმელსაც სახელად ბეწინას უწოდებდენო.
ამის შესახებ ჩვენ არაიყერი ვიცით.

„,სარიდანიანის“ შინაარსი ცხადად ამტკიცებს, ორმ იგი ძველს
დროში უნდა იყოს დაწერილი. პოემის დამწერზე დიდი გავლენა
უნდა ჰქონიეთ „,ვეზხვის ტეატრსანს“. შინაარსი ისეთია ორმ კაცი
ეპიში შედის მის უცხოობაზე, იქ მოხსენებული გმირთა სახელები,
მათი თვისებანი და ზნენი და ჩვეულებანი ცხადათ მოწმობენ სა-
ქართველოს ერის ცნობებსა.

„,სარიდანიანი“-ს ეგზ. ერთობ გავრცელებულია თელავსა და კავ-
კავის კაჭოებში. ლექსები მეტისმეტად დამახინვებულია. მე ძალიან
ბეგრი ეგზ. მინახავს და სულ სხვა-და-სხვა ვარიანტებით სავსე. ეს
პოემა 1879 წ. ცალკე გამოსცა ქ. თბილისში ქაისასრო ჩარეჭოვმა.

ალლუზიანი. „ალლუზიანი“-ს შესახებ მოგვითხოვბენ, ორმ მე-
ცამეტე საუკუნეშია დაწერილიო, დამწერათ დავით სოსლანს ასახელე-
ბენ. პოემის შინაარსი მთელ ხალხის მთავართა ცხოვრებათა აღ-
წერას შეიცავს. ეს პოემა ნუზაღის ეკლესიაში უპოვნიათ, ზოგნი
უწევიან, ორმ ამ პოემას „ალლუზორუსიანი“ ჸევიან და არა „ალ-
ლუზიანით.“

იმის შესახებ, ორმ „ალლუზიანი“ დავით სოსლანს ეკუთვ-
ნისო, ამზე მარწმუნა ნ. გამრეკელმა, ორმ მეც ასევე გამიგია,
ორმ „ალლუზიანი“ დავით სოსლანს დაუწერია. პოემის ხელოვ-
ნება და შინაარსი ერთობ დარიბია. ამ პოემის ერთი სელ-ნაწერი
მე მაქვნდა, დღეს წერა-კითხვის სამმართველოს ეკუთვნის.

საქართველოს აღწერა. „საქართველოს აღწერა“ შეტანილია „ქართლის ცხოვრებაში“, აღუწერა მეცნიერების საუკუნის დამლევს, რუსულან მეფის დროსათ. აღმწერად ვიღება იღვანე მდივანია დასახელებული. სწერენ რომ რუსულან დედოფლის დროის ამბავი ივანე მდივანს აღუწერიათ. ამ მდივანის აღწერა ჩვენ არ გვინახავს. ეჭვი არ არის რომ ამის აღწერას ვასტანგ მეფე „ქართლის ცხოვრება“-ში შეიტანდა. ამას ძველი ცნობები ამტკიცებენ.

ბასილი კათალიკოზი. ბასილი კათალიკოზი მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში სცხოვრებდა. გარდაიცვალა 1349 წელს. ეს მომსწრე და თანა-დამსწრე პირია უგელა იმ ამბობებათა, რაც კი ქრისტიანობის მეოსებით მოადგა კარს საქართველოს. ბასილი კათალიკოზი იმ დროის გამოჩენილის დიდის პატრიკის გაჩერების შემდეგი იყოვთ.

ამ გასილი კათალიკოზს დაუწერია შიო მღვიმელის ცხოვრება-კასილი კათალიკოზი მოგვითხრობს, რომ ჩემს დრომდინ შიო მღვიმელის ცხოვრება საფუძვლიანად არავის აღუწერიათ. აქამდის აქა იქ იუგნენ გამნეული მისი ცხოვრების წერილით და ეხლა კი მე უბელა ეს წერილები ერთად შეგაგროვე და უფრო გრცლად და საფუძვლიანად დავწერეთ. ეს აღწერა დაბეჭდილია „საქართველოს სამოთხეში“, რომელიც ასე იწყება:

1) „თხრობა სასწაულთათვის წმინდისა და ღვთივ შემოსილისა მამისა შიოსათა, რომელი ესე სხვათა-მიერ აღწერილი ადგილ-ადგილი ერთად ჭემოქრიბა ბასილ კათალიკოზმან, ძემს დიდისა პატრიკისა ვსჩესამან, გვაკურთხე მამაო“.

2) წიგნი „სამოთხის გასაღები“. ბერძნულიდამ უნდა გადმოკთარებოს.

3) აღწერა მთელის ხმელეთის უდიდესთა ქალაქთა, თუ სადა ქალაქებია. ბერძნულიდამ ნათარგმნი.

თანგირიანი. „თანგირიანი ამბავი და თხრობა სცხოვრებელთა, რომელიც აღწერა თანგირელმა, ამიტომ მის წიგნსაც ქართველ მთარგმნელს ქართულ ენაზედ „თანგირიანი“ უწოდებია. ამ წიგნმა ჩვენამდინაც მოაღწია. სპარსულიდამ არის ნათარგმნი. მთარგმნელის

სახელი არა სჩანს. წიგნის წარწერა კა მოწმობს, რომ მეთოთხმეტე
საუკუნეში გადმოთარგმნესო.

ნებროთიანი. „ნებროთიანი“ სარწმუნოებრივი წიგნია. ასე
შემიტუვია, თორემ „ნებროთიანი“ მე თვით თვალითაც არ მინახავს.
„ნებროთიანის“ ერთი ეგზემპლარი იღსელიანს ქვენია. ისე-
ლიანმა გარდმომცა, რომ „ნებროთიანი“ მეთოთხმეტე საუკუნის
ნასევარს უნდა იყოს დაწერილი. დამწერის სახელი არა სჩანს. „ნებ-
როთიანის შინაარსი სარწმუნოებრივ კითხვებს შეიცავს. „ნებროთია-
ნის ხელ-ნაწერები ერთობ მცირეა, მთელს საქართველოში მხოლოდ
ორი წიგნი მოიპოვება და ეს ორივეც ხუცურად არის ნაწერი.

ვარშავიანი. როგორც „ვარშავიანი“ სახელწოდებაც გვაჩვენებს,
ეს არის ძველი ზღაპრული მოთხოვთა. რომელიც შირველად სპარ-
სულ ენაზეა დაწერილი. დამწერის სახელი არა სჩანს, როგორც
თვით სელნაწერზედ, აგრეთვე ქართულს და სპარსულს ძველ ნაწე-
რებშიაცა. მოთხოვთას ფორმა და შინაგანი სურათები ცხადად
ამტკიცებენ რომ „ვარშავიანი“ მოთხოვთა „ვარამანიანის“ შემდეგ
უნდა იყოს დაწერილი და ზოგიერთა პირთ თვისებაბიც ცხადად მო-
წმობენ, და ამტკიცებენ „ვარამანიანის“ გავლენას „ვარშავიანის“
დამწერზე. „ვარამანიანის“ გავლენა არამც თუ ამას ეტუობა, არამედ
გამოჩენილ ფირდიუსის „როსტომიანისაც“ კი, სადაც „ვარამანიანიც“
არ მოსენებული, როგორც ვფიქრობთ ჩვენა, ეს მოთხოვთა მე-
თერთმეტე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი და შემდეგ საუკუნო-
ებში ქართულ ენაზე ნათარგმნი.

როგორათაც „ვარშავიანის“ დამწერის სახელი, ისევე არც
მთარგმნელის სახელი სჩანს, თუ ვინ სთარგმნა? რომელს საუკუნე-
ში? ან რომელი მეფის დროს? ჩვენ ვფიქრობთ რომ „ვარშავიანი“
მეცამეტე საუკუნის უგვიანეს არ უნდა იყოს ნათარგმნი, რადგანაც
ენის კილო და საზოგადოდ მოთხოვთას წესი ისეა დაცული, რო-
გორც იცავდენ ძველ საუკუნოებში, საქართველოს ათხერბა და და-
წილებამდე. რომ „ვარშავიანი“ მეცამეტე საუკუნეში უნდა იყოს
ნათარგმნი, ამას ცხადად ამტკიცებს ერთი ძველი გატალოგიც, სადაც
ჩამოთვლილია მრავალი ძველი წიგნები და იშვე მოხსენებულია, რომ

„ვარშავიანი;“ მეცნამეტე საუკუნეში უნდა იყოს გადმოთაციმნილი, ამის ცხადთ მოტკიცებს ერთი ძველი გარალიგი, სადაც ჩამოთვლილია მრავალი ძველი წიგნები და იქვე მოსსენებულია, რომ „ვარშავიანი“ ვინმე ტუსიშვილმა აღწერა სპარსეთიდამ მოტანილი, ნარინ მევის დროსაც.

ჩვენ არ ვიცით და არც ეს მოსსენება აჩვენებს ნათლათ, თუ „ვარშავიანი“ ვის გადმოსთაცმნა. ექვემდებარებული იყო, რომ „ნარინ შევის დარს ვინმე ტუსიშვილმა აღწერას“. აღწერა ჩვენ ისე მიზანია, რომ რომელიმე პირმა ვისიმე ცხოვრება, ანუ რამ ცნობები აღწერას, შეეთხოს რამე და დაეწერას, რაისა შეთხზის გამო ძველად აღეწეროსთ თუ გამოსარავდნენ სოლმე, მანც ამაზედ გარდა წევეტით სელს ვერ დაგვდებთ, ვინ იცის? იქნება მართლა ვინმე ტუსიშვილმა სთარგმნა და შემდეგ დოკუმენტთა გადამწერთა მეოსებათ შთარგმნელის სასელი აღმწერლათ მოსსენეს. რაც შეეხება, რომ „ვარშავიანი“ მეცნამეტე საუკუნეში უნდა იყოს ნათარგმნი, ამას ცხადათ ამტკიცებს ზემოთ მოუვანილი შენიშვნები, რომელიც გაუკრებილია ძველის ქართულის გარალობებიდან:

„ვარშავიანის“, ეგზ. რაცხვი ძველადგანვე ერთობ შცირე ულფილა საქართნელოში. ძველს მწერლებსაც თითქმის ისე მააჩნდათ ამ წიგნის შესახებ, რომ „ვარშავიანი“ სრულად დაიგარება საქართველოში. ამ გვარად ქვიქილიძნენ მრავალნი და ამასაც გვიმორჩილებოდთ ჩვენც და თითქმის დაკარგთლად მიგვაჩნდა, მაგრამ უგანასკნელს დოლს კი აღმოჩნდა ერთი ძველი გარალიგი, სადაც მოსსენებული იყო „ვარშავიანი“. ეს გარალოგი შედგენილია მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ქართველი ზატონიშვილების ბლანებით ივანე თბილევი მწიგნობრისაგან, ვინ არს ეს თბილევი მწიგნობრი? ამაზე ჩვენ არ ვიცით-რა. ვარშავიანი ძველადგანვე ულფილა გავრცელებული საქართველოს სალეში. შემდეგ დოკუმენტი, კითუმცა ამის ეგზემბლიარები კი შემცველებულა, მაგრამ „ვარშავიანის“, შინაარსი კი მანც ზეპირად და ზღაპარივით დაშთენილა, რომელსაც ხშირად შესვდებით და მოისმენთ ხოლმე დაბალ ხალხის მოსუცებულებაში.

კათალიკოზი დოსითეოზ სცხოვრებდა 1300—1359 წლებში. ამის განდაცვალება 1359 წ. მიეწერება. დოსითეოზს დაუწერია შემდეგი წიგნები: 1) შეჩვენება და დარღვევა მაჰმადიანთ სარწმუნოებისა. 2) „გზა მართალთა“ ბერძნულიდამ ნათარგმნი. და 3) წიგნი „წყლულებისა“.

ელისე მთავარეპისკოპოსი ცხოვრება მიეწერება 1328—1391 წლამდის. ამის ზოგიერთ წიგნებში ელისეზ კათალიკოზათ ასსენებენ. კათალიკოზის საქისხით მცირე სანს უცხოვრია. ამის აღუწერია შემდეგი წიგნები: 1) ცხოვრება წმილისა ტაცესი. 2) ვულიოს კეისრის ცხოვრება, თარგმნი ბერძნულიდამ. ამის შესახებ ჩვენ გამოვკიდებით გერმან ხუცეს მონოზნის წიგნიდამა. ჭიკილობენ, რომ ელისე მთავარეპისკოპოზის სასელისთვის ანტონ კათალიკოზს უურადდება არ მიუპყრიალ.

მიხეილ კათალიკოზი სცხოვრებდა 1340—1367 წლებში. ამის ცხოვრების შესახებ საკმარისად გროვდად მოგვითხოვენ საქრთველოს ისტორიის მწერალნი. ამის დაუწერია და უთარგმნია შემდეგი წიგნები: 1) არს ხრონილრაფია, თარგმნი ბერძნულიდამ. ამავე სახელწოდებით შემდეგ საუგუნოებშიაც გადმოსთარგმნეს ქართველთა. 2) ექვსთა დღეთა ასვლა, 3) ეკკლესიის განმარტება.

არსენ კათალიკოზი სცხოვრებდა 1330—1394 წლებში. ამ ასეს იმერ-აფხაზთ კათალიკოზათ ასახელებენ. ანტონ კათალიკოზი ძალიან აქებს ასესნსა და სწერს, რომ შენმა მშვენიერმა თქმაშ მშეღესია განაშვენაო. ამას აღუწერია შემდეგი წიგნი: 1) წიგნი „საკალრისი“ თარგმნილი ბერძნულიდამ. შინაარსი ბერ-მონოზონთ ცხოვრების შესახებ არის 2) არს თვის თანამედროვე იმერთ მეცეთ ამბავთ აღწერა. ეს აღწერა „ქართლის ცხოვრება“ ში შეუტანათ. 3) ლვის ხშობლის ცხოვრება. 4) მღვდელ მთავრის ხელ დასხმა. 5) წიგნი შესამოსლის განმარტებისა, კითხვა-მიგებით. 6) ლიტურგიის კონდაკი, თარგმანი ბერძნულიდამ 7) ქორის კარაბალინი.

ბექა მანდატურთ უხუცესი სცხოვრებდა მეთოთხმეტე საუკნეში, ამან დასწერა „სამართლის წიგნი“ მესსთათვის, რომელიც

სმარებული იური იმავ დოლში. შემდგომ ეს „სამართლის წიგნი“ აღმუ-
ლაშ განატჩია და ოც კი სამეფოსთვის სასარგებლო რემ ნიხს ის
მუხლები ამოვრიბა, ამას თავისიც დაუმატა და მით ჰერიკა უფრო
კრცელი სამართლის წიგნი დაუტოვა მესხთა.

სხვა ცნობები ბეჭას „სამართლის წიგნის“ შესახებ ჩვენ არა
კიცით რა. ამასაც აღმულა მოიხსენებს თავის „სამართლის წიგნის“
პირველ მუხლშივე. ამას მაკარის დარჩენილი მარტინ ბოლოს მიტ-
რობილი მაკარ მლევლელმონაზონი. მაკარ მლევლელმონაზონი სცხოვ-
ებდა 1302 წლებში. ამას აღუწერია დარღვევა მაქმადიანთ სარწ-
მუნოებისა დაქსად, ამ წიგნის ხელთხაწერი ითვასე ბოლოს მიტ-
რობილი ტექნია. ამავე მაკარს დარჩენია კრცელი წიგნი თავის
ქადაგებისა, ეს წიგნებიც ბოლოს ხევის მონასტრიდგან ითხელიანს
წმოულია.

ვასილი კათალიკოზი. ვასილი კათალიკოზი სცხოვებდა
1306—1354 წლებში. ამას აღუწერია შემდეგი წიგნები:

1) ხელთა; 2) პორტირის აღსნა, ეს წიგნი მკელადგე დაი-
გარგა, 3) იამბიკონი ქართველთ მამათ ზედა, ოოქელთაც მიმოუ-
გლიათ და უქადაგნიათ. სიტყვა ქრისტესი. ამ იამბიკოს ზოგიერთმა
მუხლებმა ჩვენს მდისაც მოაღწიეს.

გიორგი არხიმანდრიტი. გიორგი არხიმანდრიტი სცხოვებ-
და 1320—1380 წლებში. ამას აღუწერია შემდეგი წიგნები:

1) ტესტამენტი, ანუ დართვება ვასილისა, შვილის ალექსანდ-
რე მაკედონელისა. 2) სჯულის კანონი, თარგმნული ბერძნულიდამ.
და 3) გამოცხადება ანდრია კორტელისა.

აღსავლის კიბე. „აღსავლის კიბე“ გადმოუთარგმნიათ ბერძნუ-
ლიდამ. მთარგმნელათ დავით გრეკეჭაში მცხოვრებ ბერძ ასახელებენ.
მეთოთხმეტე საუკუნეში, გადამწერი მოგვითხრობს, რომ ჩვენთ
მცელთა და მოხუც ბერთავან ასე შეგბიტყვიათ. შემდეგ უმატებს,
რომ ამ სასელით სხვა წიგნიც ასებობს. მგრნი ეს სხვა წიგნი
ჩვენგან ზემორე მოსსენებული „აღსავლის კარი“ უნდა იყოს.

მცენდუჩვილთა კონი. უკავილთა კონია შეცრანა წიგნი უმუშილა,

ლექსების კრება, სპარსეთის მელექსის მაქმადი-რაჭი-ხენისა, ქართულად გაღაც გიორგი ბატონიშვილის გადმოუთარებისა სპარსეთში. ეს წიგნი დაცული ყოფილა ლარაძის ხელში. დღეს არსადა სჩანს.

ანდრია სალოსი, ანდრია სალოსი შეიცავს სამღვთო ზნეობრივ დარიგებას, ბერძნულიდამ გადმოუთარებინათ, მთარგმნელს თვითონაც დაუმატებია და შეუმთავრებია, ამაზედ ცადად მოწმობენ საეკლესიო მწერალნი. ამ ისტორიული მოთხოვნის ეგზემპლარები მაღარან ბეგრია მთელ საქართველოში. ამ წიგნში ერთ ადგილას მოუკანილია შემდეგი, ოღმელაც უკაველია მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს „საქართველოში თუ ადესმე გამრავლდა ჩალხი წითური, უნდა გაგულისხმოთ, რომ იმ დროსთვის მოახდოვებული იქმნება ერთის ზნეობითი დაცემა!“ ასევე აღწერს სხვა-და-სხვა ხალხის შესახებ და მათ შესახებ თვისებათა შედეგებსაც ასახელებს, ერთ ადგის სომხებიც არიან სსენებულნი.

ქართლის მოქცევა. ქართლის მოქცევა წმ. ნინოს ცხოვრებითა აღწერს შეიცავს. პატარა წიგნია, მდაბიურად არის ნაწერი.

